კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 130 (9906) | ხუთშაბათი, 3 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

ჩვენს დიად წამშობლოში (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია. — **კამათი საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.** — დეპუტატების **ი. გ. რთველიაშვილის, ა. კ. მაკაროვის, ნ. მ. ...ძის** და ამხ. **ა. ს. ნუუნიაკოვის** სიტყვები (მე-2 გვერდი).

კონსულტაცია. — **ი. მოსაშვილი.** — როგორ მოვაწყოთ ცხვრის ელექტროპარსვა (მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზებულად გადავრეკოთ პირუტყვი საზაფხულო საძოვრებზე

პირუტყვის საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვა დიდი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა და მის წესიერ ორგანიზაციაზე ბევრად არის დამოკიდებული მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა. გასული წლის მწარე გაკვეთილი ცხადყოფს, რომ ამ საქმეში დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი იწვევენ გზებში პირუტყვის მასობრივად დაბოცვას, პროდუქტიულობის საგრძნობ შემცირებას.

პირუტყვის, კერძოდ, ცხვრის საგაზაფხულო გადარეკვა ჩვენს რესპუბლიკაში წელს უკეთ მიმდინარეობს, ვიდრე წინა წლებში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მხრივ ყველგან და ყველაფერი რიგზე იყოს. ჩვენი სიონაღელი კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ ამ რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობა, რომელსაც 12 ათასი სული ცხვარი ჰყავს, მოუმზადებელი შეხვდა პირუტყვის გადარეკვას. მწყემსთა უმრავლესობა ვერ უზრუნველყვეს თბილი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ნაბდებით. მოუგვარებელია მათი კულტმომსახურება. აღსანიშნავია, რომ აქ საჭიროდ არ ჩათვალეს ფარებისათვის გაეყოლებინათ სპეციალისტი. სამწუხაროდ, ძველი ანაგის კოლმეურნეობა სიღნაღის რაიონში გამონაკლისი არ არის. სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებთ პირუტყვის გადარეკვის ორგანიზაციაში ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებსაც.

პირუტყვის გადარეკვა მოითხოვს კონკრეტულ, ცოცხალ, ოპერატიულ ხელმძღვანელობას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, რაიონული ორგანიზაციებისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრივ.

ამჟამად, როცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირუტყვის დიდი ნაწილი საზაფხულო საძოვრებისაკენ მიმავალ ტრასებზეა, ძირითადი გადაუდებელი ამოცანაა ისე მოვაწყოთ მუშაობა, რომ უზრუნველვყოთ პირუტყვის მთელი სულადობის უდანაკლისოდ აყვანა დანიშნულების ადგილას. საჭიროა ზუსტად დავიცვათ თვითეული კოლმეურნეობის პირუტყვის მოძრაობის გეგმა-გრაფიკი. ტრასაზე მწყემსებთან ერთად უნდა იმყოფებოდნენ კოლმეურნეობათა გამგეობების წარმომადგენლები, კოლმეურნეობებისა და მტს-ების ზოოვეტსპეციალისტები, რადგან ამჟამად მათთვის პირუტყვის გადარეკვის სწორი ორგანიზაცია ერთ-ერთი ყველაზე პასუხსაგები, საპატიო საქმეა. გადარეკვის ტრასას მუდმივად უნდა ადევნებდნენ თვალყურს აგრეთვე რაიონული და რესპუბლიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები, რადგან ისინი პასუხს აგებენ პირუტყვის სრულად შენარჩუნებისა და მგზავრობის დადგენილი მარშრუტის დაცვისათვის. ეს საშუალებას მოგვცემს ადგილზევე გამოვასწოროთ შემჩნეული ნაკლოვანებანი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ დასუსტებული პირუტყვის მოვლა-პატრონობას და კვებას, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ცხვარს გადარეკვის გზებსა და თვით საზაფხულო საძოვრებზე.

გადარეკვის გზებზე კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ პირუტყვის ზოოვეტმომსახურება. ჩვენი სპეციალისტები — ვეტერინარები და ზოოტექნიკოსები მოწოდებული არიან ზუსტად დაიცვან პირუტყვის მოვლის აუცილებელი პროფილაქტიკური ვეტერინარული ღონისძიებანი.

როგორც ცნობილია, მწყემსი მომთაბარე მეცხოველეობის ცენტრალური ფიგურაა და მის უნარიან მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული პირუტყვის უდანაკარგოდ გადარეკვა, საზოგადოებრივი ჯოგის შენარჩუნება, მისი შემდგომი ზრდა. ამიტომ მწყემსის საჭიროებისათვის ზრუნვა საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის ზრუნვის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. კოლმეურნეობათა გამგეობები, რაიონული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები ვალდებული არიან მუდმივად ზრუნავდნენ მწყემსების საყოფაცხოვრებო პირობებზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა. თრიალეთის საზაფხულო საძოვრებისაკენ მიმავალი ტრასის იმ მონაკვეთზე, რომელზედაც ამჟამად მოძრაობს დიდძალი პირუტყვი და მწყემსთა მრავალრიცხოვანი არმია, სუსტია მშრომელთა სამედიცინო დახმარება. ეს მოწმობს, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა პირუტყვის გადარეკვის საქმის შეუფასებლობა გამოიჩინეს. თითქმის არაფერი არ გაკეთებულა მწყემსთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მწყემსთა მრავალრიცხოვანი მასა მოკლებულია ახალ ჟურნალ-გაზეთებს, კინო-სურათებს, ლექციებს, საუბრებს. სუსტად არის დაცული გადარეკვის გზები პირუტყვის დატაცება-განიავებისაგან. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის სამინისტროებმა, მილიციის ორგანოებმა შექმნილი მდგომარეობიდან სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ.

მიუხედავად იმისა, რომ ცეკავშირმა წელს უფრო ენერგიული ზომები მიიღო მომთაბარე მეცხოველეობის მუშაკთა კვების პროდუქტებითა და პირველი მოთხოვნილების საგნებით უზრუნველყოფისათვის, მდგომარეობა მაინც არადამაკმაყოფილებელია. განსაკუთრებით საგრძნობია საველე კარვების, აგრეთვე მწყემსთათვის ნაბდებისა და თბილი ტანსაცმლის ნაკლებობა. ცეკავშირი მოვალეა გააძლიეროს მეცხოველეთა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის ზრუნვა, მოაწყოს დატარებითი ვაჭრობა, საზაფხულო საძოვრების განლაგების რაიონებში საკმაო რაოდენობით შეიტანოს სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ მეცხოველეთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლას. აუცილებელია სისტემატურად ვმართავდეთ საგიტაციო საუბრებს, ვუკითხავდეთ მწყემსებს ახალ ჟურნალ-გაზეთებს. „სოიუზპეჩატმა“ უნდა უზრუნველყოს ადგილებზე გაზეთებისა და ჟურნალების გაყიდვა.

პირუტყვის საზაფხულო საძოვრებზე ორგანიზებულად გადარეკვა საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. ამასთანავე დიდი მნიშვნელობა აქვს საძოვრებზე პირუტყვის განლაგებისა და ძოვების სწორ ორგანიზაციას, მეცხოველეობისთვის ნორმალური კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

პირუტყვის უდანაკარგოდ გამოზაფხულება, საძოვრებზე წველადობის გადიდება პირდაპირი პასუხი იქნება მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებზე, რომელთა პრაქტიკულად განხორციელებისაკენ მიმართულია ახლა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მთელი შემოქმედებითი ძალები.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ხელოვნების მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

უკრაინის რუსეთთან შეერთების 300-წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში კ. დანკევიჩის ოპერის „ბოგდან ხმელნიცკის“ დადგმის წარმატებით განხორციელებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

1. **დიმიტრიადის** ოდისეი ახილესის-ძეს — თეატრის მთავარ დირიჟორს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს,
2. **მჭედლიძეს** დიმიტრი სიმონის-ძეს — თეატრის დირექტორს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

1. **სმოლიჩს** დმიტრი ნიკოლოზის-ძეს — შევჩენკოს სახელობის კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეჟისორს,
2. **ზლოჩევსკის** პეტრე ათანასეს-ძეს — ოდესის საოპერო თეატრის მთავარ მხატვარს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. **გეგუჩაძეს** გრიგოლ ვარლამის-ძეს — თეატრის სოლისტს,
2. **გიორგაძეს** ლეილა მიხეილის ასულს — თეატრის სოლისტს,
3. **პოპოვს** მიხეილ ივანეს-ძეს — თეატრის სოლისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიშვილი.

ქ. თბილისი. 1954 წლის 2 ივნისი.

ჩვენს დიად სამშობლოში



აზერბაიჯანის სსრ. ბაქოს ნავთობის მანქანათმშენებლობის ქარხნის საამქროს უფროსმა ოსტატმა ბორის უნანოვმა ბაქოში პირველმა წარმატებით გამოიყენა ცნობილი ხარატის ვასილ კოლესოვის მეთოდი. შემდეგ მან გაუმჯობესა კოლესოვის საჭრისის გეომეტრია და შექმნა უნივერსალური საჭრელი ინსტრუმენტი. მისი საჭრისი თავისუფლად ჩარხავს დიდ სიღრმეზე ფოლადის სხვადასხვა ნაჭედ დეტალებს. იგი მარტივია დასამზადებლად და მნიშვნელოვნად ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას მთელ რიგ ოპერაციებზე. ბაქოს ქარხნებში ფართოდ იყენებენ ბ. უნანოვის საჭრისს. თავისი გამოცდილების გადასაცემად ნოვატორი იყო მოსკოვის ქარხანა „ბორეცში“, გროზნოს ქარხანა „კრასნი მოლოტში“ და სხვა ქალაქთა საწარმოებში. **სურათზე:** უფროსი ოსტატი ბორის უნანოვი.

ფოტო ფ. შევცოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

წლიური ვალდებულება შესრულებულია

კემეროვო, 1 ივნისი. (საკდესი). გუშინ „შავი მთის“ შახტის მისასვლელი გზებიდან გაიგზავნა 27-ე ეშელონი, რომელიც დაიტვირთა გეგმის გადამეტებით ამოღებული სათბობით. ეშელონავე მაღაროელთა კოლექტივმა, რომელიც აუმჯობესებს წარმოების ციკლურ ორგანიზაციას, ყველა უბნის რიტმულ მუშაობას მიაღწია და გადაჭარბებით შეასრულა ქვანახშირის ზეგეგმითი ამოღების წლიური ვალდებულება. მეშახტეებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება. მათ ოთხ თვეში 150 ათასამდე მანეთი დაზოგეს სათბობის თვითღირებულების შემცირებით.

ამ დღეებში კარგად მუშაობენ ამ აუზის უდიდესი შახტის — სტალინის სახელობის შახტის მაღაროელები. მათ გადაწყვიტეს მეშახტის დღისათვის 50 ათასი ტონა ქვანახშირი ამოიღონ გეგმის დამატებით. ახლა საწარმის ანგარიშზე აქვთ 37 ათასზე მეტი ტონა მაღალხარისხოვანი სათბობი, რომელიც დავალების გადამეტებით გაიგზავნა.

საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს საგაზაფხულო თესვის გეგმა

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებმა 1954 წლის 25 მაისისათვის საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმა 102,5 პროცენტით შეასრულეს. გასულ წელთან შედარებით დათესილია 1.206 ათასი ჰექტარით მეტი.

მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 112,2 პროცენტით, გეგმის გადამეტებით დათესილია 689 ათასი ჰექტარი, რაც 1.476 ათასი ჰექტარით მეტია შარშანდელთან შედარებით.

საგაზაფხულო ხორბლის თესვის გეგმა შესრულებულია 113,6 პროცენტით, გეგმის გადამეტებით დათესილია 381 ათასი ჰექტარი, რაც 794 ათასი ჰექტარით მეტია შარშანდელთან შედარებით. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე მზესუმზირას და ბამბის თესვის გეგმა.

მიღებულია ღონისძიებანი, რათა რაც შეიძლება სწრაფად დამთავრდეს გვიანი კულტურების თესვა, გაძლიერდეს ყამირი და ნასვენი მიწების ზოზვნის ტემპი.

ლვოვის თეატრის გასტროლები

უკრაინის სსრ ქალაქ ლვოვის მ. ზანკოვეცკაიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უკრაინული დრამატული თეატრის კოლექტივმა რუსთაველის სახელობის თეატრში გასტროლების მეექვსე დღეს — 31 მაისს თბილისელ მაყურებელს უჩვენა უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის ლესია უკრაინკას დრამატული პოემა „ტყის სიმღერა“.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს ვ. ივჩენკოს, მხატვრობა — უკრაინის სსრ სახალხო მხატვარს ფ. ნიროდს, მუსიკა — უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს ა. რადჩენკოს, ცეკვების დადგმა — ო. კორკოვიდოვს.

როლებს ასრულებდნენ: უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტები ნ. დოცენკო, ვ. პოლისუკაია, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ვ. დანჩენკო, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი დ. დუდარევი, მსახიობები ა. კუშნირენკო, ვ. მაქსიმენკო, პ. გოლოტა, ს. გრინჩენკო, ლ. კრინსკი, მ. ერშოვა, ა. მაგდინსკი, ს. ბობრენოკი, ტ. კოლესნიკი, ე. იუნგა, მ. მენტო, ე. ბურმისტროვა, ტ. სვირიდენკო, რ. პენკოვიჩი, ლ. კაგანოვა, ი. სტეფანჩუკი ე. ხომიაკი, ა. ანპილოგოვა.

სპექტაკლს წარმატება ხვდა.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. 1 ივნისის დილის სხდომაზე დაიწყო რუსეთის სფსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რესპუბლიკის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების განგარიშის განხილვა.

თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ს. ბორისენკო** სიტყვას აძლევს დეპუტატ **ა. პ. ვოლკოვს** (მოსკოვის ოლქი). იგი ლაპარაკობს ოლქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზრდაზე, მათს განმტკიცებაზე კვალიფიციური კადრებით. მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებში დიდი მუშაობაა განხორციელებული სასათბურო-საკვალსათბურო მეურნეობის გასაფართოებლად. ოლქისათვის დაკისრებული დავალება შესრულებულია გადამეტებით.

დეპუტატმა **მ. ი. ზახარომვა** (ალტაის მხარე) ლაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან ტრაქტორისტები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები პარტიისა და პლენუმების დავალებათა შესრულებისათვის მარცვლეულის წარმოების გადიდების დარგში.

დეპუტატმა **ი. ვ. კომზონმა** (კუიბიშევის ოლქი), ილაპარაკა რა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებლობა, აღნიშნა, რომ მთელმა რიგმა სამინისტროებმა შეანელეს ყურადღება მშენებლობის საჭირბოროტო საგნებზე. სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ თანაბრად ვერ აწვდის ცემენტს, გზათა სამინისტრო საჭირო რაოდენობით ვერ უზრუნველყოფს მშენებლობას ბეტონით. დამაკმაყოფილებლად არ იგზავნება ხე-ტყის მასალები და აგური; ბეტონის სამუშაოები ალიმიტებენ სარმატურე ფოლადის ნაგლინს, რომელსაც შავი მეტალურგიის სამინისტრო, როგორც წესი, გზავნის თვის უკანასკნელ რიცხვებში.

დეპუტატი **ა. ვ. სომოვი** (ჩუვაშეთის ასსრ), ისევე როგორც სხვა გამოსულნი, მხურვალედ იწონებს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს. მას მოჰყავს ციფრები და ფაქტები, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა ჩუვაშეთის აყვავებას.

ლაპარაკობს რა დიდ სამრეწველო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაზე, რომელიც რესპუბლიკაში წარმოებს, დეპუტატი სომოვი აკრიტიკებს რუსეთის სფსრ სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, რომელიც ცუდად ამარაგებს ჩუვაშეთს საჭირო მასალებითა და მოწყობილობით, არ უშვებს საკმაო დაზმარებას სამრეწველო საწარმოთა განმტკიცებას საინჟინერო-ტექნიკური კადრებით.

დეპუტატმა **ფ. ნ. დადონოვმა** (ბრიანსკის ოლქი) თავისი გამოსვლა მიუძღვნა კაპიტალური მშენებლობის საკითხებს. კაპიტალური მშენებლობის მნიშვნელოვანი ზრდა მოითხოვს საშენ მასალათა წარმოების გადიდებას. მაგრამ ამ მასალების, განსაკუთრებით აგურის წარმოება უკიდურესად ნელი ტემპით ვითარდება.

დეპუტატმა **ე. დ. ანტონენკომ** (ლენინგრადი) განაცხადა, რომ ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა 104 პროცენტით შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა. მოსკოვის მშრომელთა მაგალითისამებრ, ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ლენინგრადელებმა გადამეტებით შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალების პირველი კვარტალის გეგმა. წელს ლენინგრადში აშენდება 400 ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

— ბიუჯეტის პროექტში, — ამბობს რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი დეპუტატი **ტ. მ. ზუევა,** — მკაფიოდ აისახა საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის წელს ასიგნებულია 42 მილიარდ მანეთზე მეტი. ახლა რუსეთის სფს რესპუბლიკაშია 33 ათასზე მეტი კინოდანადგარი და კინოთეატრი, 70 ათასი მასობრივი ბიბლიოთეკა, 65 ათასი რაიონული კულტურის სახლი, სოფლის საკოლმეურნეო კლუბი და სამკითხველო.

დილის სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე დეპუტატებმა **ი. გ. შკარბანმა** (ნოვოსიბირსკი), **მ. ა. გუზენკომ** (ხაბაროვსკის მხარე), **მ. ი. ასტახოვმა** (ტულის ოლქი) და **პ. ვ. შჩერბაკოვმა** (მარეთის ასსრ).

* * *

1 ივნისის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა რუსეთის სფსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1953 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა. სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ნ. ი. ბობროვნიკოვს** (მოსკოვი). დედაქალაქის მშრომელებმა, თქვა მან, ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში. მოსკოვის მრეწველობამ შარშან ვადამდე შეასრულა პროდუქციის წარმოების გეგმა. ბევრი რამ გაკეთდა ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის განსახორციელებლად. საცხოვრებელი სახლების კაპიტალურ რემონტზე ქალაქის აღმასკომმა 380 მილიონი მანეთი დახარჯა. კაპიტალდაბანდება საბინაო და კომუნალურ მეურნეობაში ამაღლ წელს შეადგენდა 900 მილიონ მანეთზე მეტს.

— ბიუჯეტის პროექტში, — ამბობს რუსეთის სფსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრი დეპუტატი **დ. ტ. პროფერასნოვი,** — ეთავალისწინებულია მნიშვნელოვანი ასიგნებანი საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, კომუნალური საწარმოებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულების შენობათა მშენებლობისათვის. უკანასკნელ წლებში საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრომ ააგო ბევრი საცხოვრებელი სახლი და სხვა შენობები. მაგრამ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმები მთელ რიგ ოლქებში არ სრულდება, რაც აგრეთვე სამინისტროს არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგია.

დეპუტატმა **ვ. ს. ტოტოევმა** (ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ) თავისი გამოსვლაში ილაპარაკა რესპუბლიკის წარმოებებზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. რესპუბლიკის მრეწველობამ პროდუქციის გამოშვების 1953 წლის გეგმა 100,5 პროცენტით შეასრულა.

დეპუტატი ტოტოევი აკრიტიკებს უმაღლესი განათლების სამინისტროს, რომელიც არ ზრუნავს ქალაქ ორჯონიკიძეში სამედიცინო და სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტების საერთო საცხოვრებლების მშენებლობისათვის, და ნავთობის მრეწველობის სამინისტროს, რომელიც სიზანტეს იჩენს მალგობეკის სკოლისა და სანატორიუმის მშენებლობაში.

სიტყვას ამბობს დეპუტატი **ნ. ი. მოსალოვი** (თათრეთის ასსრ). იგი აღნიშნავს, რომ მთელი ჩვენი ქვეყნის ზრდასთან ერთად სწრაფი ტემპით იზრდება და ვითარდება ქალაქი ყაზანი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდ სამრეწველო და კულტურულ ცენტრად გადაიქცა. ყაზანის მრეწველობა სულ უფრო მეტი რაოდენობით უშვებს მანქანებსა და სახალხო მოხმარების საგნებს.

რუსეთის სფსრ ვაჭრობის მინისტრმა **ი. ა. ლუკაშევმა** თავის სიტყვაში მოიყვანა ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ საქონელბრუნვის გაზრდულ ზრდას რუსეთის ფედერაციაში. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქონელბრუნვა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 30 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვნად გადიდდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის გაყიდვა.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები **პ. ნ. სტრატიენკო** (ცრასნოდარის მხარე), **ი. მ. სერეგინი** (ულიანოვსკის ოლქი) და **გ. ც. ციდენჟაპოვი** (ბურიატ-მონღოლეთის ასსრ (საკდესი).

თბილისი. ჩაის გადამწონ ფაბრიკაში. **სურათზე:** სტახანოველი შემფუთავები ვ. სამსონიძე (მარცხნივ) და ა. ბუცაევა ჩაის საწონ-შემფუთავ ავტომატთან.

ფოტო შ. გოქაძისა.

ჰიათურელი მაღაროელები პირველ ადგილზე

ჰიათურა. (საკ. კორ.). მეორე წელია გრძელდება კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრება ჰიათურელ მაღაროელებს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების, მეტალურგიულ ქარხანა „აზოვსტალის“, ფოთისა და ყდანოვის ნავსადგურებისა და მოძმე უკრაინის მეტალურგიული საწარმოების კოლექტივებს შორის. შეჯიბრების მიზანია ის, რომ მაღაროელებმა, რკინიგზელებმა და მეზღვაურებმა მეტალურგიულ ქარხნებს შეუფერხებლად მიაწოდონ მარგანეცი.

ამ დღეებში ქ. ყდანოვში შეაჯამეს მაღაროელთა, რკინიგზელთა, მეზღვაურთა და მეტალურგთა კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრების გასული წლის შედეგები. ყიურომ გამარჯვებულად ცნო ჰიათურელი მაღაროელები. მათ მიეკუთვნათ პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა.

ქ. ყდანოვში ხელმოწერილ იქნა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება 1954 წლისათვის. მაღაროელთა, რკინიგზელთა, მეზღვაურთა და მეტალურგთა სოციალისტური შეჯიბრება გრძელდება.

27 მაისს ჰიათურელ მაღაროელებს გადაეცათ გარდამავალი წითელი დროშა.

ახალი მოსავლის პირველი კონსერვები

ქუთაისი. (საკ. კორ.). 28 მაისს ქუთაისის საკონსერვო ქარხანამ დაიწყო ახალი მოსავლის ფშვნე ბარდის გადამუშავება. 28 და 29 მაისს გამომშვებულია 60 ათასი ქილა კონსერვი.

ახლად გამოშვებული პროდუქცია იგზავნება ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში.

მომდინარე წლის სეზონში მეკონსერვეები 1 მილიონ ქილა მარტო მწვანე ბარდის კონსერვს გამოუშვებენ.

სოფლის სასტუმრო

ამბროლაური. (საკ. კორ.). სოფელი ჭრებალო ყველაზე კეთილმოწყობილი სოფელია ამბროლაურის რაიონში. აქ გახსნილია 6 სამრეწველო და სასურსათო მაღაზია, ორი სპარიკმახერო, პურის საცხობი, ავეჯის სახელოსნო, ყურძნის გადასამუშავებელი და კრამიტის ქარხნები, სამკერვალო სახელოსნოები და მრავალი სხვა საწარმო.

წელს რაიკოოპკავშირმა სოფელში გახსნა კეთილმოწყობილი 10-საწოლიანი სასტუმრო.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 1 ივნისის ცნობებით)

გეგმის შესრულება პროცენტობით

რაიონები	წლიურისა	მაისისა
ბათუმის	27	148,1
ქობულეთის	23,5	123,3
ქედის	20	114,3
გალის	23,7	106,7
ოჩამჩირის	25	112,8
გულრიფშის	29,5	134,2
სოხუმის	24	109,1
გუდაუთის	23,6	107
მახარაძის	22,9	122
ჩოხატაურის	25,5	141,4
ლანჩხუთის	24,1	133,7
სამტრედიის	16,5	74,7
წულუკიძის	20	83,1
ქუთაისის	23,7	109,3
წყალტუბოს	25,5	115,1
ტყიბულის	16	72,7
ცხაკაიას	21,4	97,2
აბაშის	17,4	78,7
გეგეჭკორის	21,5	96,6
ზუგდიდის	21,2	93
წალენჯიხის	24,1	114,1
ხობოროწყუს	26,4	121,9
ხობის	23,7	101,6
თერჯოლის	29	128,6
ზესტაფონის	39,3	168,6
სულ საქართველოს სსრ-ში	23,2	112,7

2 ივნისი

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დღიური

მეჩაიეთა წარმატება

ზუგდიდი. („კომუნისტის“ კორ.). ჩაის ფოთლის კრეფაში დაწინაურდა სოფელ კორცხელის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის ის ბრიგადა, რომელსაც ა. კვარაცხელია ხელმძღვანელობს. ბრიგადას მაისში 16 ათასი კილოგრამი ფოთოლი უნდა მოეკრიფა. ეს დავალება 4 დღით ადრე გაანაღდა. აქ მაისის გეგმის გადამეტებით 1.500 კილოგრამი ჩაის ნედლეული მოკრიფეს. ამ ბრიგადის პირველი რგოლის წევრმა ხ. კვარაცხელიამ 70 კილოგრამი ჩაი მოკრიფა ნაცვლად დღიური გეგმით გათვალისწინებული 25 კილოგრამისა. ო. ჩხეტიას რგოლმა მაისის გეგმის გადამეტებით მოკრიფა 300 კილოგრამი ფოთოლი.

კრეფაში წინ მიდის სოფელ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეთექვსმეტე ბრიგადა (ხელმძღვანელი მ. მოსია). აქ მაისის გეგმა ვადამდე 5 დღით ადრე გაანაღდეს. გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად კრეფენ 1.000 კილოგრამ ფოთოლს. მოწინავე კოლმეურნემ მ. ჩუხუამ 80 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა ნაცვლად 25-ისა.

პიროგას ასრულებენ

კაბრეთი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობებში გაჩაღდა მზესუმზირას და სიმინდის ნათესების თოხნა. დაწინაურდა სოფელ ჩალაუბნის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადა, რომელსაც ი. დოიაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ დაიწყო მეორე თოხნა. გეგმით გათვალისწინებული 22 ჰექტარის ნაცვლად გათოხნილია 27 ჰექტარი.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებს სოფელ კაბრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადა (ბრიგადირი მ. ბაქიანიძე), რომელიც შეუდგა კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი მზესუმზირას და სიმინდის მეორე კულტივაციას.

მოწინავე ტრაქტორისტები

თიანეთი. („კომუნისტის“ კორ.). მანქანის სრული დატვირთვით გამოყენების შედეგად სოფელ გუდამხლების კოლმეურნეობაში პირველი სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტმა ვ. ბურდულმა სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 16 ჰექტარზე. გეგმა 10 ჰექტარს ითვალისწინებდა. ასევე დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვის გეგმა მეშვიდე ბრიგადის ტრაქტორისტმა ა. ცოცხალაშვილმა, მეოთხე ბრიგადის ტრაქტორისტმა ქ. გოგოჭურმა და ე. ქაჩლიშვილმა.

დაიწყო კარტოფილისა და სიმინდის ნათესების პირველი თოხნა. სოფელ საყდრიონის კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც ლ. კიტაკიშვილი ხელმძღვანელობს, თოხნის დღიური დავალება 150 პროცენტით შეასრულა. დაწინაურდნენ აგრეთვე მერგოლურები მ. მიშაფერაშვილი და თ. პატეაშვილი. სოფელ სიმონიანთხევის კოლმეურნეობამ შაქრის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ ი. გ. რთველიაშვილის სიტყვა

(ქარელის რაიონის რუისის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია უმაღლესი საბჭოს განსახილველად, სწორად ასახავს სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების იმ ამოცანებს, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს.

პარტიისა და მთავრობის უდიდესი მზრუნველობის შედეგად მთელ ქართველ ხალხთან ერთად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში დიდი წარმატებები მოიპოვეს გორის რაიონის მშრომელებმაც. საკოლმეურნეო წყობილების ბაზაზე გორის რაიონში შექმნილია მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ამჟამად რაიონში არის 57 მსხვილი კოლმეურნეობა, 4 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, 2 მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა, სოფლის მეურნეობის 5 სასელექციო და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება.

კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები 1945 წელთან შედარებით ერთიორად გადიდდა, ორჯერ გაიზარდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი. სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის ფართოდ გამოყენებამ უზრუნველყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლება. მარშან კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოიყვანეს ხილის, ყურძნის, შაქრის ჭარხლის და ბოსტნეულის უხვი მოსავალი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმებმა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამა დასახეს. საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულია ამოცანა — უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად გაადიდოს ტექნიკური და სპეციალური კულტურების მოსავლიანობა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებაში სერიოზული როლი აკისრია გორის რაიონს. ჩვენს რაიონში ფართოდ არის განვითარებული მეხილეობა და მეჭარხლეობა. სესიას უნდა მოვახსენო, რომ ამ კულტურების მოსავალს წელს ძალიან კარგი პირი უჭანს. ხილს მოვკრეფთ სულ მცირე 30-35 ათას ტონას, რაც შარშანდელ მოსავალს 10-15 ათასი ტონით გადააჭარბებს, ხოლო შაქრის ჭარხალი მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე, ვფიქრობთ, მიღებულ იქნება არანაკლებ 450-500 ცენტნერისა.

მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი საშუალებაა ნათესების მორწყვა. გორის, სტალინირისა და კასპის რაიონების ფართობებს რწყავს ტირიფონის არხი, რომლის კალაპოტი და ჰიდროტექნიკური ნაგებობანი ამჟამად მთელ რიგ ადგილებში კატასტროფულ მდგომარეობამდეა მისული, დაზიანებულია სარწყავი ქსელიც. ორი წელია ლაპარაკია ტირიფონის არხის რეკონსტრუქციაზე, მაგრამ მუშაობა დღემდე არ დაწყებულა. ვთხოვ უმაღლესი საბჭოს სესიას ამ გადაუდებელი საქმისათვის ბიუჯეტში გაითვალისწინოს საჭირო სახსრები.

გორის რაიონში დამთავრებული არ არის დაჭაობებული ფართობების ამოშრობის სამუშაოები. ასობით ჰექტარი ფართობი ამოსაშრობია. ცხადია, კოლმეურნეობებს საკუთარი საშუალებებით ამ სამუშაოთა შესრულება არ შეუძლიათ. ვთხოვ უმაღლესი საბჭოს სესიას მიმდინარე წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს 400 ათასი მანეთი აღნიშნული ღონისძიების დასაფინანსებლად.

გორის რაიონის 1953 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ, სამემოსავლო ნაწილში შესრულებულია 100 პროცენტით და საგასაღლო ნაწილში 97,4 პროცენტით. საგასავლო ნაწილში ბიუჯეტის შეუსრულებლობა ძირითადად იმის შედეგია, რომ რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ ვერ აითვისა 268.300 მანეთი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ — 129.100 მანეთი. აღსანიშნავია, რომ აუთვისებელია სკოლების მშენებლობისა და ავადმყოფთა კვებისათვის გათვალისწინებული თანხები.

ბიუჯეტით გათვალისწინებულ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოთა შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია რაიონში სამშენებლო-სარემონტო კანტორის უქონლობით. ჩვენი რაიონისათვის ასეთი კანტორის შექმნა აუცილებელია. წინაღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქნება რესპუბლიკის მთავრობამ გორის რაიონში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოთა წარმოება ქალაქ გორის სამშენებლო-სარემონტო კანტორას დააკისროს.

დეპუტატ ა. კ. მაკაროვის სიტყვა

(წალკის რაიონის ედიქილისის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ომისშემდგომ პერიოდში ჩვენი რაიონის ბიუჯეტი თითქმის 64 პროცენტით გადიდდა, ხოლო ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — 150 პროცენტით და უფრო მეტად.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური დახმარების მეოხებით რაიონის სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა წლითიწლობით იზრდება. ახლა რაიონში ორი მანქანა-ტრაქტორთა სადგური მუშაობს. ტრაქტორთა პარკი ომამდელზე თითქმის 3-ჯერ მეტია. კომბაინები 1940 წელს რაიონში სრულებით არ გვქონდა, ამჟამად კი 47 კომბაინი გვაქვს.

1953 წელს 1940 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა ნათესი ფართობები, მათ შორის კარტოფილისა — 232 პროცენტით. გადიდდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 35 პროცენტით, მათ შორის ძროხისა — 66 პროცენტით, ცხვრისა და თხის სულადობა — 126 პროცენტით. ამავე დროს მნიშვნელოვნად ამაღლდა მათი პროდუქტიულობა.

უკანასკნელ 2-3 წელიწადში მკვეთრად შეიცვალა რაიონული ცენტრისა და მთელი რაიონის სახე. წალკაში აშენდა ადმინისტრაციული სახლი, რვაბინიანი საცხოვრებელი სახლი, 350-ადგილიანი კინოთეატრი. გაშენდა პარკი; გუდრონით დაიფარა და გამწვანებულ იქნა მთავარი ქუჩები. ბევრმა კოლმეურნემ აიშენა ახალი ტიპური სახლი.

წელს დაპროექტებულია და დაიწყო ბეშთაშენის საშუალო სკოლის, 17 კილომეტრი სიგრძის ნარდევან-წალკის წყალსადენის მშენებლობა. ეს წყალსადენი დაკმაყოფილებს რვა დასახლებული პუნქტისა და რაიონული ცენტრის საჭიროებას. დაიწყო საკოლმეურნეო მინდვრებას, პირველ რიგში 3.000 ჰექტარი კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესების მორწყვის დაპროექტება.

მიღწევებთან ერთად სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში გვაქვს ნაკლოვანებებიც. ჩვენი მაღალმთიანი რაიონის პირობებში მექანიზმები მთლიანად ვერ უზრუნველყოფენ სამუშაოთა დროულად შესრულებას. მტს-ების ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარკის შევსება ხშირად ხდება რესპუბლიკის ბარის ზონის მტს-ებიდან გადმოგზავნილი ძველი მექანიზმებით. გარდა ამისა, მექანიზმების რემონტი მტს-ებში ხშირად დაბალხარისხოვნად სრულდება. იშვიათი არ არის, რომ გვაკლია საჭირო სათადარიგო ნაწილები. ეს იწვევს ცალკეული მანქანების გარდუვალ მოცდენას და, მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გაჭიანურებას.

თუ რესპუბლიკის ბარის ზონებში სასოფლო-სამეურნეო მანქანების აგრეგატები წლის განმავლობაში 9-10 თვეს მუშაობენ, ჩვენს რაიონში ეს პერიოდი 4-5 თვეს გრძელდება. იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის დარგში რაიონის წინაშე დასახული ამოცანები წარმატებით შესრულოთ, ვთხოვ რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს აღჭურვონ ჩვენი მტს-ები ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით — ტრაქტორებით, კომბაინებით, კარტოფილსათხრელი მანქანებით და სხვ.

ზოგიერთი კოლმეურნეობის სათესი ფართობები იმდენად ქვიანია, რომ იქ მექანიზაცია არ ხერხდება, ჩვენს მტს-ებს კი არა აქვთ ქვის ამოსაღები მანქანები — ბულდოზერები, სკრეპერები და სხვ. ამიტომ ჩვენი თხოვნაა, რომ რაიონის მტს-ებს მიეცეთ ქვის ამოსაღები მანქანები. რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ამ მექანიზმების გამოყენება შესაძლებლობას მოგვცემს გარკვეული ოდენობით შევამციროთ ცოცხალი გამწევი ძალის რაოდენობა, და სამაგიეროდ გავადიდოთ პროდუქტიული პირუტყვის სულადობა.

რაიონის კოლმეურნეობათა პირუტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მოთავსებულია პრიმიტიულ, მოუწყობელ სადგომებში. მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის დასახულ გეგმას შევასრულებთ, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ცეკავშარმა დროულად გამოგვიყოს შიფერი, ავტომანქანები და ავტომისაბმელები საშენი მასალების გადასაზიდავად.

მიუხედავად ჩვენი არაერთგზის თხოვნისა, რომ წალკის რაიონში მედიცინის სპეციალისტები გამოგვიგზავნონ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ჩვენს თხოვნას უყურადღებოდ ტოვებს, ხოლო ზოგჯერ არც კი გვიპასუხებს შეკითხვებზე. რაიონში გვაკლია 15 ექიმი. 9 სასოფლო საექიმო უბნიდან დაუკომპლექტებელია 4. ხშირად ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო წალკის რაიონში სამუშაოდ გზავნის ისეთ მუშაკებს, რომლებიც რამდენიმე თვეს რომ იმუშავებენ, შემდეგ კვალიფიკაციის ასამაღლებლად ქალაქში მიდიან და რაიონში აღარ ბრუნდებიან, ზოგი მათგანი კი სხვადასხვა საბაბით თავს ითავისუფლებს. უკანასკნელ სამ წელიწადში განთავისუფლებულ იქნა 16 ექიმი, მაშინ როცა რაიონში 15 ვაკანტური თანამდებობაა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს და ქმედით დახმარებას გაუწევს რაიონს.

თბილისი-მარნეული-წალკის გზა გუდრონით არის დაფარული, გარდა მოლოტოვო-წალკის მონაკვეთისა. ვთხოვ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზაქცევილების სამინისტროს გაითვალისწინოს ეს და მომდინარე წლის გეგმაში შეიტანოს გზის ამ უბნის გუდრონით დაფარვა.

ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო ჩვენს რაიონში აშენებს ყველის დიდ მექანიზებულ ქარხანას. ამ ქარხნის მშენებლობის ძირითადი სამუშაოები დამთავრებულია, მაგრამ ზოგიერთი მოწყობილობის უქონლობის გამო მშენებლობა უკვე მეორე წელია ჭიანურდება. მიმდინარე წელს ასიგნებული 430 ათასი მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 31 ათასი მანეთი. ყველის ქარხნის მშენებლობის ასეთი გაჭიანურება ჩაშლის საფრთხეში აყენებს დიდი ზომის ყველის გამოშვებას. ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ უნდა მიიღოს ღონისძიებანი, რათა დაჩქაროს ქარხნის მშენებლობა და წელსვე მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა.

ამხანაგო დეპუტატებო! ისევე როგორც ჩემამდე გამოსული სხვა დეპუტატები, მე მხარს ვუჭერ წინადადებას საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

დეპუტატ ნ. მ. ჯიბლაძის სიტყვა

(ასპინძის რაიონის ასპინძის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტი, როგორც სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი, მკაფიოდ ასახავს ლენინურ-სტალინური ერთვნული პოლიტიკის დიად გამარჯვებას, საბჭოთა ხალხების ურღვევ ერთიანობასა და ძმობას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით მარნეულის რაიონის 1954 წლის ბიუჯეტი გათვალისწინებულია 16.267 ათასი მანეთის რაოდენობით, რაც 1953 წლის ბიუჯეტს 337 ათასი მანეთით აღემატება. რაიონის ბიუჯეტის სახსრებიდან 14.601 ათასი მანეთი დაიხარჯება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე, რაც ბიუჯეტის საერთო თანხის 90 პროცენტს შეადგენს. მარნეულის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ყველა ზომას იღებენ იმისათვის, რომ დროზე შესრულდეს მიმდინარე წლის ბიუჯეტის როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილი, მტკიცედ იქნას დაცული საფინანსო დისციპლინა.

მარნეულის რაიონის კოლმეურნეები, რომლებიც შეიარაღებული არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით, მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებას. სოფლის მეურნეობის მშრომელები იბრძვიან მაღალი მოსავლის მიღებისათვის, რომელსაც ძირითადად 1953 წლის შემოდგომაზე ჩაუყარეს საფუძველი. გასულ წელს აგროტექნიკის სრული დაცვით სამემოდგომო ხორბალი დათესილ იქნა 18.000 ჰექტარ ფართობზე. ნათესებში დროულად იქნა შეტანილი მინერალური სასუქები, ჩატარდა ჯეჯილების რწყვა, მარგვლა და დამტვრევა გამოკვება. ყოველივე ამის შედეგად მოსავალს კარგი პირი უჭირავს. წელს საგაზაფხულო თესვა აგროწესების სრული დაცვით და დაწესებულ დროზე ჩატარდა. ამჟამად მიმდინარეობს თამბაქოს რგვა, რაც ამ დღეებში დამთავრდება. უკვე დავიწყეთ თივის აღება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საზოგადოებრივ მეცხოველეობაში მოპოვებულია გარკვეული წარმატებანი. დამთავრდა სტანდარტული ბინების მშენებლობა 5 კოლმეურნეობაში და განხორციელებულია ნაწილობრივი მექანიზაცია, რის შედეგად გადიდდა პროდუქტიულობა. მაგრამ ამ საერთო კარგ მაჩვენებლებთან ერთად არის მთელი რიგი ნაკლოვანებებიც. რაიონის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გეგმა 1 მაისისათვის შესრულებულია 90 პროცენტით, მათ შორის ძროხების მოშენებისა — 76,8 პროცენტით. ამასთან ჯერ კიდევ დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

ეს მდგომარეობა რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს ავალებს სერიოზული ღონისძიებები განახორციელონ იმისათვის, რომ მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის მოწინავე, შემოსავლიან დარგად გადააქციონ.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მძლავრი ტექნიკის გამოყენებას. ჩვენი რაიონის 4 მანქანა-ტრაქტორთა სადგური ძირითადად უზრუნველყოფილია მექანიზმებით, რომლებიც მომსახურებას უწევენ რაიონის ყველა კოლმეურნეობას. მაგრამ მტს-ებს სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ ტექნიკის გამოყენებისა და იარაღ-მანქანების მოვლის საქმეში. საჭირო რაოდენობით ფარდულების უქონლობის გამო იარაღ-მანქანები ცის ქვეშ არის დატოვებული. მტს-ების სპეციალისტები უზრუნველყოფილი არ არიან საცხოვრებელი ბინებით. საჭიროა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაითვალისწინოს ჩვენი რაიონის მტს-ებისათვის სათანადო რაოდენობით საცხოვრებელი ბინებისა და ფარდულების მშენებლობა.

გიპურარხისა და ყულარის საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მიზნით ვთხოვ საქართველოს მთავრობას დაავალოს სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს წელს გაითვალისწინოს აღნიშნულ საბჭოთა მეურნეობებში საცხოვრებელი ბინების მშენებლობა.

1950 წელს რაიონის ცენტრში დაიწყო საავადმყოფოს მშენებლობა, მაგრამ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ მშენებლობას. მიმდინარე წელს საავადმყოფოს მშენებლობა თითქმის შეჩერებულია სამშენებლო მასალების უქონლობის გამო. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ საჭირო რაოდენობით უნდა გამოჰყოს სამშენებლო მასალები საავადმყოფოს მშენებლობის დასაჩქარებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთან ძალიან ჩამორჩება რაიონული ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობა. რაიონის ცენტრში არა გვაქვს კულტურის სახლი, სასტუმრო. მარნეულის პირველ და მეორე უბანში მოყვანილი არ არის სასმელი წყალი. ვთხოვ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაითვალისწინოს მარნეულში კულტურის სახლისა და სასტუმროს მშენებლობა, აგრეთვე დახმარება აღმოგვიჩინოს არსებული წყალსადენის სათავის რეკონსტრუქციისა და გაფართოების საქმეში.

საქართველოს სსრ 1954 წლის ბიუჯეტი მთლიანად შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ძირეულ ინტერესებს, უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ ზრდას. მხარს ვუჭერ გამოსული დეპუტატების წინადადებას საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

ამხ. ა. ს. ნუჟნიაკოვის სიტყვა

(საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ზრდის მყაფიო დადასტურებაა და მთლიანად ასახავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება, სახალხო მოხმარების საგნებს წარმოების მკვეთრი აღმავლობა, სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარება და საქონელბრუნვის ზრდა.

საქართველოს სს რესპუბლიკის საცალო საქონელბრუნვა 1953 წელს შესადარ ფასებში 1952 წელთან შედარებით 23 პროცენტით გადიდდა. 1954 წლის 4,5 თვის განმავლობაში რესპუბლიკის საცალო საქონელბრუნვა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 11 და მეტი პროცენტით, ხოლო შესადარ ფასებში — 28 პროცენტით.

მოსახლეობის უკეთ მომსახურებისა და მასი მზარდი მოთხოვნილების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების მიზნით წარმოებს სავაჭრო ქსელის შემდგომი გაფართოება. 1953 წლის განმავლობაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი რესპუბლიკაში 483 ერთეულით გადიდდა.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ 1953 წელს 119 ახალი სპეციალიზებული მაღაზია გახსნა. ამჟამად რესპუბლიკის ქალაქებში ითვლება ქსოვილების, ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ავეჯის, კულტსაქონლის, საშენი მასალების, წიგნებისა და სხვა საქონლის 600 სპეციალიზებული მაღაზია.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ როცა რესპუბლიკის საქონელბრუნვა 1953 წელს 1940 წელთან შედარებით 79 პროცენტით გადიდდა, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საცალო ქსელი მხოლოდ 15 პროცენტით გაიზარდა. სავაჭრო ქსელის ზრდის ასეთი ჩამორჩენა აიხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ თბილისში, სტალინირში, ზუგდიდში, სამტრედიასა და საქართველოს სხვა ქალაქებში ცუდად ასრულებენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ 1954 წლის 1 მაისამდე განთავისუფლდეს და სავაჭრო ორგანიზაციებს გადაეცეს სავაჭრო შენობები, რომლებიც არ არა დანიშნულებისამებრ არის დაკავებული.

თბილისის საქალაქო აღმასკომმა უნდა გაათავისუფლოს 31 სავაჭრო შენობა, მაგრამ 20 მაისისათვის სავაჭრო ორგანიზაციებს მხოლოდ ოთხი შენობა გადაეცათ.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატი, წყალთა მეურნეობის სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „ზაგოტზერნო“ და სხვა ორგანიზაციები არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ახლადაგებული შენობების პირველ სართულებში 17 სავაჭრო სათავსის მოწყობის შესახებ.

მიუხედავად საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდისა, ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება მთელ რიგ საქონელზე. სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც ცუდად მუშაობენ, ბრალი მიუძღვით მრეწველობის მუშაკებსაც, რომლებიც მთლიანად არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს, სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საქონლის მიწოდების დარგში.

1954 წლის 4,5 თვის განმავლობაში სავაჭრო ორგანიზაციებმა ვერ მიიღეს 143 მილიონი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელი.

ფართო მოხმარების ბევრი საქონელი დააკლეს მომხმარებლებს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა.

სამკერვალო და ფეხსაცმლის მრეწველობა ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის საჭირო გაზაფხულ-ზაფხულის ასორტიმენტის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჩაბარებას.

ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სარეწაო საბჭოს საწარმოებმა წარმოებიდან მოხსნეს მოსახლეობისათვის საჭირო საქონელი, რომელიც წინათ მზადდებოდა, მათ შორის ნავთქურები, სკამები, ღილები, მარაოები, აბრეშუმის ძაფი, აბრეშუმისა და ჩითის ცხვირსახოცები, ქალის ქამრები. ისეთი ნაწარმიც კი, როგორიც მამაკაცისა და ქალის ქუდებია, სხვა რესპუბლიკებიდან შემოგვაქვს, მაშინ როცა მათი წარმოება შეიძლებოდა მოგვეწყო თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში.

მოსახლეობის ჯერ კიდევ არასაკმაო საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის საქართველოს სარეწაო საბჭოსთან ერთად პასუხისმგებლობა უნდა გაიზიარონ ვაჭრობის მუშაკებმა.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და მისი ორგანოების მხრივ არასაკმაო კონტროლის შედეგად ადგილებზე კვლავ არის მომხმარებელთა ზომა-წონაში და ანგარიშში მოტყუების შეუწყნარებელი შემთხვევები, შეფერხება ვაჭრობაში, მაშინ როცა საწყობებსა და ბაზებში საქონელი არის. საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ადგილი აქვს პროდუქტების ჩადების ნორმების დარღვევისა და ცუდი ხარისხის საჭმლის დამზადების შემთხვევებს. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სამრეწველო საწარმოების მუშებისა და მოსამსახურეების საზოგადოებრივი კვება.

წელს რესპუბლიკის მოსახლეობას უნდა მიეყიდოს 683 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების სამრეწველო და სასურსათო საქონელი, ვიდრე 1953 წელს.

საქართველოს საბჭოთა ვაჭრობის მუშაკები, რომლებიც გარემოსილი არიან პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით, ხალხის ყურადღებით, მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ იმას, რომ რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ საბჭოთა ვაჭრობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები (მარცხნიდან): ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირი თ. ყუფუნია, თბილისის სარემონტო-მექანიკური ქარხნის მთავარი ინჟინერი ი. ხოდაკი, სამხრეთ ოსეთის აგტონომიური ოლქის ზემო როკის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. პლიევა, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეშახტე ვ. ყიტნიკოვი, სიღნაღის რაიონის ტიბაანის მტს-ის ტრაქტორისტი ე. ნატროშვილი, ბოგდანოვკის რაიონის ხ. ხოჯაბეგის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ა. არზუმანიანი, ბოლნისის რაიონის ქვემო ბოლნისის კოლმეურნეობის წევრი სონა ახვერდი ყზი კირხიევა, გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „ალაშარას“ მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ლ. შამბა, კომპოზიტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი შ. მშველიძე და ხულოს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური სოციალისტური შრომის გმირი დ. მელაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ქალაქ თბილისის კალინინის რაიონში

ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად პატივს სცემენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, რუსი ხალხის სახელოვანი შვილის მ. ი. კალინინის ხსოვნას. საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში მ. ი. კალინინის გარდაცვალების მერვე წლისთავთან დაკავშირებით ეწყობა პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ხსოვნისადმი მიძღვნილი საუბრები. კალინინის რაიონის ცხოვრებიდან აღებული მაგალითებით აგიტატორები ცხადყოფენ, თუ რა განუხრელად უმჯობესდება ჩვენს ქვეყანაში ხალხის კეთილდღეობა და კულტურა, რა დიდ ზრუნვას იჩენენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მშრომელთა საჭიროებისათვის. ამ რაიონშია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. მის სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის 33 ნამდვილი წევრი და 23 წევრი-კორესპონდენტი, 103 დოქტორი და 496 მეცნიერებათა კანდიდატი.

კალინინის რაიონშია მთელი რიგი წამყვანი თეატრები, მუზეუმები. ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მრავალი მნახველი აქ წარმოდგენილ ექსპონატთა შორის დიდი ყურადღებით ეცნობა ისტორიულ დოკუმენტებს მ. ი. კალინინის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. იმ მასალებისა და ფოტოსურათების გამოფენა, რომლებიც მოგვითხრობენ კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლის ცხოვრებასა და რევოლუციურ მუშაობაზე, გაიხსნა აგრეთვე პარტიის კალინინის რაიკომის ბიბლიოთეკაში. (საქ-დესი).

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

ბათუმი. (ხაკ. კორ.). ამ დღეებში ბათუმის მასწავლებლის სახლში აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ა. ბერიძემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ორდენები და მედლები გადასცა ქალაქ ბათუმის და ბათუმის რაიონის მასწავლებლებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის.

ლენინის ორდენი მიიღო 12 პედაგოგმა, მათ შორის: ბათუმის მუშა ახალგაზრდობის სკოლის დირექტორმა კ. ბოლქვაძემ, ბათუმის რაიონის ენგელის რვაწლიანი სკოლის მასწავლებლებმა თ. ბერძენიშვილმა და ე. ჩხატარაშვილმა, ქალაქ ბათუმის მუშა ახალგაზრდობის № 16 საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. მითაიშვილმა, № 7 რუსული საშუალო სკოლის დირექტორმა ო. სინიცინამ, ქ. ბათუმის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელმა პ. ებრალიძემ და სხვებმა.

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა აგრეთვე 12 პედაგოგს, მათ შორის: ქ. ბათუმის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებლებს თ. სიორიძეს და ტ. ჭყონიას, № 9 რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ქ. ცხომელიძეს, № 5 საშუალო სკოლის მასწავლებელს ე. პილიდის, № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელს თ. ბერძენიშვილს და სხვებს.

„საპატიო ნიშნის" ორდენი მიიღო 8 მასწავლებელმა, მათ შორის: ქ. ბათუმის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებლებმა თ. გოგიჩაიშვილმა, ვ. გოგოლაძემ და თ. ელიავშვილმა, მახინჯაურის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ო. ლეკავამ და სხვებმა.

მედლები „შრომითი მამაცობისათვის" და „შრომითი წარჩინებისათვის" გადაეცა 24 პედაგოგს.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს კ. ბოლქვაძემ, მ. მითაიშვილმა, ო. სინიცინამ და სხვებმა, რომლებმაც გულითადი მადლობა გადაუხადეს პარტიას და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

გაზეთის მუშაკთა ახალი კადრები

შეხუთე წელია, რაც სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტთან შეიქმნა ჟურნალისტიკის განყოფილება, რომლის ხუთივე კურსზე ამჟამად სწავლობს 170-მდე სტუდენტი.

უნივერსიტეტის რექტორატი და ჟურნალისტიკის კათედრა (გამგე პროფ. გ. ჯიბლაძე) დიდ ყურადღებას აქცევენ სტუდენტთა სპეციალური მომზადების სწორ ორგანიზაციას, სასწავლო პროცესის წესიერად მოწყობას. ლექციებს სპეციალურ დისციპლინებში კითხულობენ პრესის გამოცდილი მუშაკები და მაღალკვალიფიციური ლექტორები. მათი ხელმძღვანელობით ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტები სწავლობენ საბჭოთა პრესის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლებს, ჟურნალისტურ ჟანრებს, სარედაქციო მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, კომუნისტური პრესის სახელოვან ტრადიციებს, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პუბლიცისტურ-რედაქტორული მოღვაწეობის გამოცდილებას, ქართული პრესისა და კრიტიკის განვითარების ძირითად ისტორიულ ეტაპებს.

სპეციალური დისციპლინების თეორიული სწავლება მჭიდროდ არის დაკავშირებული სემინარულ მუშაობასთან და პრაქტიკასთან რედაქციებში, სადაც სტუდენტები ეცნობიან რედაქციების მუშაობის ორგანიზაციას და მონაწილეობენ საგაზეთო მასალების მომზადებაში. ზოგიერთი პრაქტიკანტი სტუდენტი რედაქციების დავალებთ იგზავნება მივლინებაში, დამოუკიდებლად კრებს და ამზადებს საგაზეთო მასალებს.

ჟურნალისტიკის განყოფილების პროფესორ-მასწავლებლები ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ეწევიან ჟურნალისტიკის სპეციალური სახელმძღვანელოებისა და პროგრამების შესადგენად. მაგალითად, დოც. ი. ბოცვაძე მუშაობს „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის ნარკვევებზე", დოც. ი. ნატრიშვილი აღგენს საბჭოთა პრესის თეორიისა და პრაქტიკის პროგრამას. წარმოებს მუშაობა აგრეთვე საბჭოთა პრესის თეორიისა და პრაქტიკის კურსის შესადგენად.

განყოფილებასთან არის ჟურნალისტიკის კაბინეტი, რომელშიც დაცულია პრესის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა რუსულ და ქართულ ენებზე, ოქტომბრის რევოლუციამდელი და საბჭოთა პერიოდის ჟურნალ-გაზეთები და სხვა მასალები. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სტუდენტთა ჟურნალისტიკის სამეცნიერო წრე.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წელს პირველად მოხდება ჟურნალისტიკის განყოფილების კურსდამთავრებულთა გამოშვება. V კურსის სტუდენტებმა უკვე დაიცვეს სადიპლომო ნაშრომები, რომლებიც მიძღვნილი იყო რუსული, ქართული და კომუნისტური ჟურნალისტიკის ისტორიის, საბჭოთა პრესის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებისადმი, XIX პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სოფლის მეურნეობის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებისადმი. ახლა ისინი გულმოდგინედ ემზადებიან სახელმწიფო გამოცდებისათვის.

უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა სახით მალე რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთები მიიღებენ პრესის მუშაკთა ახალ შევსებას.

დ. გველესიანი,
უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების V კურსის სტუდენტი.

საზოგადოებრივი წესრიგის მგეკიცედ დაცვისათვის

ამ დღეებში საქართველოს სსრ პროკურატურაში მოეწყო თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პროკურატურის მუშაკებმა, აგრეთვე პარტიული, საბჭოთა, ორგანიზაციების, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების წარმომადგენლებმა. თათბირზე საზოგადოებრივი წესრიგის მტკიცედ დაცვისა და ხულიგნობის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის პროკურორმა ამხ. მ. თოფურიძემ.

უკანასკნელ ხანს, აღნიშნა მომხსენებელმა, ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა საზოგადოებრივი წესრიგის სანიმუშოდ დაცვის უზრუნველსაყოფად. სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოები ახლა უკეთესად მუშაობენ დანაშაულობათა გამოვლინებისა და მათი ძირფესვიანად აღმოფხვრისათვის. მიუხედავად ამისა, ნაკლოვანებანი კვლავ ბევრია. არის ხულიგნობისა და ბანდიტიზმის ცალკეული შემთხვევები.

თათბირზე აღინიშნა, რომ საზოგადოებრივ წესრიგს ზოგჯერ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, მოსწავლეები არღვევენ, ხოლო ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ამ ფაქტებიდან საჭირო დასკვნებს არ აკეთებენ.

მკაცრად იქნა გაკრიტიკებული სასამართლო-პროკურატურის და მილიციის ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, გამოძიების დაბალი ხარისხი, უმიზნო მიწერ-მოწერის აღმოშფოთებელი ფაქტები, ბიუროკრატიული გამოვლინებანი. მაგალითად, მოქ. მ. ჩეკუშკინას გაძარცვის საქმე თვეზე მეტხანს იდო უმოძრაოდ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურაში (პროკურორი ამხ. ბუაჩიძე).

უფრო მეტიც. თბილისის მილიციის მე-7 განყოფილებაში ორთვენახევარს უმოძრაოდ ჰქონდათ ჩაკეტილი დამნაშავე ა. კუხალეიშვილის საქმე. სოხუმის საქალაქო მილიციის ხელმძღვანელებმა რამდენიმე თვეს ყურადღება არ მიაქციეს სიგნალებს ვინმე ტატულაინისა და ლომკოს ხულიგნური მოქმედების შესახებ.

დამნაშავეთა საქმეების განხილვის გაჭიანურების შემთხვევები იყო ტყიბულის, ზუგდიდის, მაიაკოვსკის, თეთრი წყაროს რაიონების, ქალაქ თბილისისა და რუსთავის სახალხო სასამართლოებში. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოშიც.

სიტყვით გამოსულმა ქალაქ თბილისის პროკურორმა ამხ. ვ. ხმალაძემ გააკრიტიკა სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებანი.

ამხ. შ. იამანიძემ (თბილისის მილიციის სამმართველო) ილაპარაკა დანაშაულობათა აღკვეთისათვის ბრძოლაში ფართო აქტივის ჩაბმის მნიშვნელობაზე.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვეს აგრეთვე ამხ. ვ. მამალაძემ (საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი), ამხ. ვ. მუშკუდიანმა (საქართველოს სსრ პროკურატურა), ამხ. უ. პაპუაშვილმა (თბილისის მილიციის მე-8 განყოფილების უფროსი), ამხ. მ. ცინცაძემ (თბილისის მილიციის მე-18 განყოფილების უფროსი).

უცხოეთის დელეგაცია საქართველოში

საქართველოში ექვს დღეს იყო სტუმრად შოტლანდიისა და სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გლაზგოს უნივერსიტეტის პროფესორი ვილიამ ატკინსონი.

დელეგაციის წევრებმა ინახულეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, № 1 საბავშვო ბაღი, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, ხელოვნების მუზეუმი, სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხი.

ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი-შეხვედრა დელეგაციის წევრებთან — გამოჩენილ შოტლანდიელ მომღერალ ჯოან მარიო ჯეკ კრისტისთან და შოტლანდიელ პიანისტ მაკ ლელანთან.

სტუმრები იყვნენ გორში, სადაც ინახულეს ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი, და საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში. ისინი აგრეთვე იყვნენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. შოტლანდიისა და სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია სოხუმიდან მოსკოვს გაემგზავრა. (საქდესი).

წერილები რედაქციას

სოფლის საჩაიე

ბოლნისის რაიონის სამმომხმარებლო კავშირის საავჭრო და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციების მუშაკებს ყველა საშუალება აქვთ სოფლის მოსახლეობის სანიმუშო მომსახურებისათვის, მაგრამ ამ შესაძლებლობას ისინი ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ. დავასახელებთ ფაქტს.

სოფელ არახლოს საჩაიე მომსახურებას უწევს არა მარტო სოფლის მოსახლეობას და მგზავრებს, არამედ თამარისის მტს-ის მექანიზატორებსაც, რომლებიც ხშირად სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ რაიონის სამომხმარებლო კავშირის ხელმძღვანელთა მისამართით, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს საჩაიეში წესრიგის დამყარება.

საჩაიეში გამეფებულია ანტისანიტარია, იატაკი და ჭერი ჭუჭყიანია, მაგიდები ყოველთვის დაულაგებელია. საჩაიეში ჰაერს არ წმენდენ. ცხელი კერძები იშვიათად კეთდება, თუ გაკეთდა, ისიც ერთფეროვანია. ჭურჭელს ცუდად ასუფთავებენ. ასეთივე მდგომარეობაა საჩაიეს სამზარეულოში, რომელიც საჩაიეს გამგემ ი. ხაიბოვმა თავისი ძმაბიჭების საქეიფო ოთახად გადააქცია. აქ ხშირად შეხვდებით სოფლის კოოპერატივის არახლოს განყოფილების გამგეს და ბუხჰალტერს, ოღონდ არა წესრიგის დასამყარებლად, არამედ — დასარღვევად.

ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ ფახრალოსა და რაიონული ცენტრის საჩაიეებში, სადაც ყოველთვის ჩაიც კი არა აქვთ, არის მომხმარებლებისადმი უხეში მოპყრობის, მოტყუების, ხურდის დაუბრუნებლობის შემთხვევები. ეს საჩაიეები მომხმარებელთა არაკულტურული მომსახურებით რაიონში გამონაკლისს როდი წარმოადგენენ.

ბოლნისის რაისაბჭოს აღმასკომის საავჭრო განყოფილებამ და რაიონის სამომხმარებლო კავშირის ხელმძღვანელებმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ სოფლის მცხოვრებთა მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ა. სეხნიაშვილი.

ბნელში მიტოვებული ხიდი

მტკვარზე ახალი ხიდის აშენებით დიდი ხნის ნატვრა შეუსრულდათ დიდმის კოლმეურნეებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის შრომელების ბოსტნეულითა და ხილით მომარაგების საქმეში. რამდენს წვალობდნენ ისინი ამ ხიდის აშენებამდე მტკვარზე ბორნით გადასვლის დროს. ზამთრის ყინვებში და ზაფხულის სიცხეში საათობით ელოდნენ თავიანთ რიგს ბორანთან. ამას წინათ მტკვარზე აშენდა შესანიშნავი ხიდი, რომლის შესახებაც უკვე იციან მკითხველებმა ჩვენი გაზეთის მეშვეობით. მაგრამ რა ყურადღება ექცევა ამ ძვირფას ნაგებობას? სამწუხაროდ, თითქმის არავითარი...

მიუხედავად იმისა, რომ ხიდი აშენებულია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით, კეთილმოწყობილია და ამშვენებს თბილისის ამ კუთხეს, მისი ლამპიონები რატომღაც ღამით სრულიად ჩამქრალია და ხიდი სიბნელითა არის მოცული. გარდა ამისა, თბილისის მხრიდან ხიდის მისადგომთან ისეთი ტბა დამდგარა, რომ მის გადასალახავად ისევ ძველი ბორანია საჭირო.

თბილისის საქალაქო საბჭოს კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ძვირფას ნაგებობას, სანამ იგი დაზიანდებოდეს.

ს. იორამაშვილი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„სანიმუშოდ მოვემსახუროთ მგზავრებს"

„კომუნისტის" 20 მარტის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

როგორც საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მინისტრი ამხ. თ. დავითაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს შეიცავს. მგზავრთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისა და მიმოსვლის მოგვარების მიზნით რაიონებში მივლინებულ იქნენ სამინისტროს მუშაკები, რომლებმაც ადგილზე ხაზის მუშაკთა შორის მოაწყეს თათბირები, გადასინჯეს ავტობუსთა მოძრაობის გრაფიკი. თბილისი-რუსთავის საავტობუსო მარშრუტზე უბილეთო მგზავრთა გადაყვანისა და მგზავრთათვის ხურდის მიუცემლობისათვის საბუნოდან მოხსნილ იქნენ ავტობუსების წამყვანები ჩიტაძე და სულიაშვილი და რუსთავის ავტოსადგურის მოლარე კანჩაველი. ამავე ავტოსადგურის მორიგე-დისპეტჩერს ხუბაევს მგზავრთა ჩასხდომის წესის დარღვევისათვის გამოეცხადა საყვედური.

მგზავრთა უკეთ მომსახურებისათვის ავტოსატრანსპორტო კანტორებს ამ უკანასკნელ ხანს გადაეცათ 40 ახალი ავტობუსი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საავტობუსო მოძრაობა თბილისსა და რუსთავს შუა. ამ მარშრუტზე ყოველდღიურად 4-5 ავტობუსის ნაცვლად მოძრაობს 7, ხოლო გამოსასვლელ დღეებში — 8. რუსთაფში გამოყოფილია შენობა ავტოსადგურის მოსაწყობად. მიღებულია ზომები მაგისტრალური საავტომობილო გზების სრულ წესრიგზე მოსაყვანად, ხოლო ყველა რესპუბლიკური მნიშვნელობის გზა თანდათანობით გადაყვანილ იქნება მაღალ ტიპზე. საფუძველიანად გაუმჯობესდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზებიც.

„უხალისოდ, უინიციატივოდ"

ამ სათაურით „კომუნისტის" 23 მარტის ნომერში გამოქვეყნებული წერილი შეეხებოდა წითელწყაროს რაიონის ქედისა და შირაქის მტს-ებში რემონტის გაჭიანურებას და საგაზაფხულო თესვისათვის არადამაკმაყოფილებელ მზადებას.

როგორც საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. დ. ლაპიაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი ქედისა და შირაქის მტს-ებში 25 მარტს დამთავრდა. რაიკომის ბიურომ მიიღო ზომები საგაზაფხულო თესვის აგროტექნიკურ ვადებში დამთავრებისათვის.

ვიზრუნოთ ეფექტური ცენტრალური დაცვისა და ხანძრისაგან

ქალაქი ჭიათურა ერთ-ერთი მძლავრი სამრეწველო და კულტურული ცენტრია ჩვენს რესპუბლიკაში. აქ ათასობით მუშა-მოსამსახურე და ინტელიგენტი ცხოვრობს. ისინი თავდადებულად შრომობენ, რათა საშობლოს მისცენ მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცი, პირნათლად შეასრულონ პარტიისა და მთავრობის ყველა დავალება.

ბუნებრივია, მარგანეცის ქალაქის მშრომელები შესაფერ კომუნალურ მომსახურებას მოითხოვენ, მაგრამ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდია. მოვიყვანთ ზოგიერთ ფაქტს. კეთილმოუწყობელია ა. წერეთლის, ნინოშვილის, ცხაკაიას და მალენკოვის ქუჩები. იქ წვიმის დროს წყალი და ტალახი დგება, გამეფებულია სიბინძურე. ქალაქის განაპირა ქუჩებს ხეირიანი მისასვლელი გზებიც არ აქვს. ბევრგან მოუგვარებელია სასმელი წყლისა და ელექტროგანათების პრობლემა. ნინოშვილის ქუჩა ქალაქის ცენტრშია, იქ აღმართულია ოთხსართულიანი შენობები, მათ უკან დიდძალი ნაგავი ყრია, ხოლო ქალაქის საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილება და დასუფთავების სექტორის მუშაკები ამას ყურადღებას არ აქცევენ.

თვით საავადმყოფო-პოლიკლინიკის ეზოში, სადაც სანიმუშო სისუფთავე უნდა იყოს, ანტისანტარიაა. ამ მდგომარეობას გულდამშვიდებით შესცქერიან ექიმებიც, კომუნალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებების, სანიტარული ინსპექციის მუშაკებიც.

ქალაქში ერთადერთი წისქვილია, რომელიც კომუნალურ განყოფილებას ეკუთვნის. წისქვილი კეთილმოუწყობელია, იქ უწესრიგობა და უსუფთაობაა.

აღნიშნულ ნაკლოვანებებზე რამდენიმე კორესპონდენცია დაბეჭდა საქალაქო გაზეთის „ჭიათურის მაღაროელი". ამით ქალაქის საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების მუშაკები განაწყენდნენ, ხოლო ზედმომარეობა ოდნავაც არ გაუმჯობესებულა.

მარგანეცის ქალაქის მშრომელები სამართლიანად ელოდებიან უკეთეს კომუნალურ მომსახურებას. ჭიათურაში სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე უნდა იყოს.

ვ. ჯაფარიძე,
ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროს მუშა.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

◎ საქართველოს კომპარტიის მიაკოვსკის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ტაბატაძემ ამას წინათ გვაცნობა, რომ რედაქციის მიერ გადაგზავნილი კორესპონდენცია, რომელიც შეეხებოდა სოფელ მიაკოვსკის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გ. წერეთლისა და ბუხჰალტრის ვ. გიორგობიანის დანაშაულებრივ მოქმედებას, შემოწმებით ძირითადად დადასტურდა.

კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გ. წერეთელი სუსტი მუშაობისათვის და კოლმეურნეობაში მთელი რიგი დარღვევების დაშვებისათვის გათავისუფლა სამუშაოდან. შეცვლილ იქნა აგრეთვე კოლმეურნეობის ბუხჰალტერი ვ. გიორგობიანი.

◎ რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც მჭილებული იყო ჩოხატაურის რაიონის სამების სასოფლო საავადმყოფოს სამეურნეო ნაწილის გამგის გ. ყიფენტის ამორალური საქციელი.

ამ წერილთან დაკავშირებით ჩოხატაურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ს. ჯიბუტი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი მთელი რიგი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ გ. ყიფენტს იმისათვის, რომ ავადმყოფებს პურის ნორმა დააკლო, საავადმყოფოში ნასვამი გამოცხადდა და ავადმყოფ მანთიძის პირად მომვლელს სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა, გამოუცხადა საყვედური.

კონსულტაცია

როგორ ეოვაწყოთ ცხვრის ელექტროპარსვა

ცხვრის პარსვის სწორი ორგანიზაცია მეტი და მაღალხარისხოვანი მატყლის აღების უმნიშვნელოვანესი პირობაა. პარსვა ჩვენში მეტწილად მთაზე ყოფნისას ორი წლით სრულდება: ე. წ. დუქარდის (ნელის მაკრატლის) და საგანგებო მანქანის მეშვეობით. დუქარდით ცხვრის პარსვა მძიმე სამუშაოა. ამ შემთხვევაში თვითეული ცხვრის გაპარსვას დიდი დრო სჭირდება, მატყლი უთანაბროდ, უსწორმასწოროდ აკრეჭება, ერთიდაიგივე ბეწვი რამდენიმე ადგილზე იჭრება, რის გამო ეს უკანასკნელი მოკლდება და საფეიქრო ძრეწველობისათვის ნაკლებად გამოსადეგი ხდება. ამასთანავე დუქარდით პარსვა მეტი რაოდენობით მოითხოვს მუშახელს, საგრძნობლად ამცირებს პროდუქციის რაოდენობას, შრომის ნაყოფიერებას, ზრდის მატყლის თვითღირებულებას და ფრიად უარყოფით გავლენას ახდენს მის ხარისხზეც.

დუქარდით პარსვის დროს მპარსავი პერსონალი ძალიან ხშირად არ იცავს ცხვრის წესიერი პარსვის პირობებს. ამის დასადასტურებლად თუნდაც მარტო მიმდინარე წლის მაგალითი კმარა. გაჭიანურებულმა ზამთარმა წელს ძლიერ დაასუსტა ცხვარი, რის გამო მისი მთელი სულადობის ბარშივე გაპარსვა შეუძლებელი გახდა. სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტისა და სხვა რაიონების მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ბარშივე, საზამთრო საძოვრებზე (ალაზნის ველზე, სამეგრელოში და სხვაგან) გაპარსეს მხოლოდ მშრალი ცხვარი (ყოჩი, თოხლი). დედაცხვარი კი თითქმის მთლიანად გაუპარსავი დარჩა. პარსვა მეტისმეტად პრიმიტიულად და არახელსაყრელ პირობებში წარმოებდა. ამას თან ერთვოდა ცხვრიადმი მწყემსთა (მპარსავების) უხეში დამოკიდებულება (საპარსავ ადგილზე ცხვრის გათრევით მიყვანა, გამაძღარი პირუტყვის მიწაზე დახეთქება, წიხლის დაჭირება და სხვ.), რასაც ხშირ შემთხვევაში ცხვრის სიკვდილი მოსდევდა. პარსვის პროცესში სუსტი იყო ზოოვეტმომსახურება. ყოველივე ეს იწვევდა მატყლის მიწოთა და ბალახბულახით დანაგვიანებას, მისი ხარისხის გაუარესებას, დიდ დანაკარგს და სხვ. აღსანიშნავია, რომ ცხვრის პარსვის ორგანიზაციის საქმეში ასეთი დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა ჩვენი რესპუბლიკის მეტ წილ კოლმეურნეობებში ულიდან წლამდე გრძელდება. ასეთი მდგომარეობა პირდაპირ შეუწყნარებელია და დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

ცხვრის მანქანით პარსვა შედარებით ახალი წესია. საპარსავი მანქანა ისევეა მოწყობილი, როგორც ადამიანის თმის საკრეჭი მანქანა, მაგრამ რამდენადმე უფრო დიდია. ცხვრის საპარსავ მანქანას ელექტროენერგია, ორთქლი ან სხვა მექანიკური ძალა ამუშავებს. საბჭოთა კავშირის მრავალ მხარესა და ოლქში ფართოდ იყენებენ ცხვრის საპარსავ მანქანებს. ბოლო დროს ცხვრის მექანიზებული პარსვა საქართველოშიც მკვიდრდება, მაგრამ ამ სასარგებლო საქმის პრაქტიკაში დანერგვა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია.

ჩვენი ქვეყნის ქარხნები დიდი რაოდენობით ამზადებენ ცხვრის საპარსავ სხვადასხვა სისტემის მანქანებს. ქ. როსტოვის მექანიკური ქარხანა უშვებს „ესა" მარკის 12-საპარსავიან ელექტროაგრეგატს, „პმზ" მარკის 22-საპარსავიან ელექტროაგრეგატს და 4-6-საპარსავიან მექანიკურ აგრეგატს. საპარსავი მანქანების სამივე ეს ტიპი ფრიად პატარა მოცულობის, მსუბუქი, ერთი ადგილიდან მეორეზე ადვილად გადასატანი აგრეგატია. თვითეული მათგანის გამოყენება სრულიად თავისუფლად შეიძლება საძოვრებზე, საქართველოს მომთაბარე მეცხვარეობის პირობებში.

მეცხვარეობაში პარსვა დიდად შრომატევადი სამუშაოა. დუქარდით მუშაობისას მპარსავი, რარიგ დახელოვნებულიც უნდა იყოს, დღეში 15-20 სულზე მეტს ვერ გაპარსავს ნაზმატყლიან ცხვარს. მპარსველის მუშაობის შესწავლამ ცხადყო, რომ ერთი სული ცხვრის გასაპარსავად მპარსავმა დაახლოებით ათასჯერ უნდა გაშალოს და დაკეცოს დუქარდი.

ელექტროპარსვის პროცესი მნიშვნელოვნად ამსუბუქებს კოლმეურნეთა შრომას და 4-5-ჯერ ადიდებს მპარსავის შრომის წარმადობას. გამოცდილი მპარსავები, რომლებმაც მანქანით პარსვა აითვისეს, დღეში პარსავენ 60-დან 100-მდე სულ ცხვარს. მაშასადამე, ცხვრის მანქანით პარსვა უაღრესად სასარგებლო და დიდმნიშვნელოვანი საქმეა. ამავე დროს საპარსავი მანქანა მატყლის თანაბრად, ძირში კრეჭის სრულ შესაძლებლობას იძლევა, არ ხდება ბეწვის დანაკუწება და მისი რამდენჯერმე სხვადასხვა ადგილას გადაჭრა. ეს გარემოება აუმჯობესებს მატყლის ხარისხს, ზრდის ბეწვის სიგრძეს და მატყლის რაოდენობას. მექანიზებული პარსვა, მატყლის ძირში და თანაბარი აღების საფუძველზე 150-400 გრამით ადიდებს პროდუქციის რაოდენობას თვითეულ სულ ცხვარზე.

ცხვრის მანქანით პარსვა ფრიად სასარგებლო და ნაკლებ საშიშია ცხვრისათვის, რადგან პარსვის პროცესში პარუტყვის დაჭრისა და ტყავის დაზიანების შემთხვევები მინიმუმამდე შემცირებულია, ხოლო კარგად დახელოვნებული მპარსავის ხელში ასეთ შემთხვევებს სულაც არა აქვს ადგილი. ამასთანავე მანქანით პარსვის დროს ფეხებშეკრული მწოლარე ცხვარი მალე (3-4 წუთში) თავისუფლდება პარსვისაგან, რის გამო ადგილი არა აქვს პარსვის მომენტში ან პარსვის მიზეზით შემდგომ პერიოდში ცხვრის სიკვდილიანობას, მაშინ როცა დუქარდით პარსვის დროს სიკვდილიანობა საკმაოდ ხშირია.

ცხვრის მექანიზებული პარსვის სწორი ორგანიზაციისა და მისი ფართოდ დანერგვის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საპარსავი ფარდულებისა და პარსვისათვის საჭირო სათანადო ნაგებობათა (ინვენტარის შესანახ, მატყლის დასაწყობ სხვა ნაგებობათა) მშენებლობას. ცხვრის პარსვისათვის განკუთვნილი შენობა (ფარდული) ნათელი, ხალვათი, სუფთა და წვიმა-ქარისაგან დაცული უნდა იყოს. მატყლის დანაკარგების თავიდან აცილებისა და სისუფთავის დაცვის მიზნით საჭიროა საპარსავ შენობაში (ფარდულში) ხის იატაკის ან დროებით ბრეზენტის დაგება (უმჯობესია ხის იატაკი). კარგად მოწყობილი საპარსავი შენობა (ფარდული) სუფთა, მაღალხარისხოვანი და მეტი რაოდენობის მატყლის მიღების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. ფარდულის მოწყობა აუცილებელია იმიტომაც, რომ ამინდის ყოველნაირ პირობებში (წვიმა, ქარი და სხვ.) შესაძლებელი იყოს ცხვრის პარსვის ნორმალურად, შეუფერხებლად წარმოება.

ცხვრის მექანიზებული პარსვის წესიერი ორგანიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პარსვის ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის საკითხების სწორად, კარგად მოგვარებას. პარსვის პერიოდში საჭიროა მპარსავებთან ცხვრის მიმყვანთა და მატყლის შემგროვებელთა გამოყოფა, პროდუქციის ზუსტი აღრიცხვის წარმოება, საჭირო ტექნიკური მოწყობილობის (სასწორი, მატყლის დასახარისხებელი ძაგიდა, ბარდანების საკიდარი, მატყლის შეფუთვისათვის საჭირო წნეხი და სხვა) წინასწარ შემზადება, ზოოვეტმომსახურების გაძლიერება, მატყლის ადგილზევე დახარისხების მოწყობა და საერთოდ, პარსვის წესიერად მიმდინარეობაზე მეთვალყურეობისა და კონტროლის გაძლიერება. როგორც წესი, ცხვრის პარსვის სწორ ორგანიზაციასა და წესიერად მიმდინარეობაზე ხელმძღვანელობა, კონტროლი და მუშაობის პროცესში უშუალო ზედამხედველობა ზოოვეტსპეციალისტებს ეკისრებათ. ზოოვეტპერსონალის კეთილსინდისიერ, უხარიან მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული პარსვის პროცესის წესიერად წარმართვა და მაღალი ეფექტის მიღება.

ცხვრის მექანიზებული პარსვის წესიერი ორგანიზაციისა და მეცხვარეობის საკოლმეურნეო ფერმებში მისი ფართოდ დანერგ

ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობისა და საფრანგეთის უმაღლესი სარდლობის ერთობლივი განცხადება

პეკინი, 30 მაისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს:

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, საფრანგეთის უმაღლესი სარდლობის დელეგაციამ დიენ-ბიენ-ფუში დაადასტურა, რომ ფრანგებმა „გაუფრთხილებლად დაარღვიეს“ 13 მაისის შეთანხმება დაჭრილთა ევაკუაციის შესახებ. საფრანგეთის წარმომადგენლები მადლობას გამოთქვამენ 858 დაჭრილი სამხედრო ტყვის განთავისუფლებისათვის და დიდი ქებით იხსენებენ ვიეტნამის სახალხო არმიის სამედიცინო პერსონალს.

აღნიშნულ განცხადებებს შეიცავს ანგარიში, რომელიც ერთობლივად გამოაქვეყნეს ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელმა და ინდოჩინეთში საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელმა საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის დაჭრილი სამხედრო ტყვეების ევაკუაციის შესახებ, რომლებიც ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესმა სარდლობამ გაათავისუფლა 13-დან 26 მაისამდე.

ქვემოთ მოყვანილია ამ ერთობლივი ანგარიშის ნაწყვეტები:

„1. ორი უმაღლესი სარდლობის — ვიეტნამის სახალხო არმიისა და საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის სარდლობათა — ორმა დელეგაციამ მიაღწია სრულ შეთანხმებას ევაკუირებული დაჭრილების რაოდენობის შესახებ, რომელიც შედგენს 858 კაცს, მათ შორის არის 624 ევროპელი, 150 აფრიკელი და 84 ვიეტნამელი; აქედან 11 ოფიცერი, 183 უნტერ-ოფიცერი და 664 ჯარისკაცი.

2. ორი დელეგაცია კმაყოფილია ღონისძიებებით, რომლებიც მიღებულ იქნა დაჭრილთა სწრაფი ევაკუაციის განსახორციელებლად.

3. ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს შემდეგი ფაქტები და ინცინდენტები: დიენ-ბიენ-ფუს განთავისუფლების შემდეგ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც აბორციელებს პრეზიდენტ ხო ში მინის ჰუმანურ პოლიტიკას, 1954 წლის 10 მაისს განაცხადა, რომ მზად არის ნება დართოს მოხდეს საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის სერიოზულად დაჭრილთა ევაკუაცია დიენ-ბიენ-ფუდან.

1954 წლის 11 მაისს ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესმა სარდლობამ საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის უმაღლეს სარდლობას გაუგზავნა წერილი, რომლითაც შეატყობინა თავისი გადაწყვეტილება — დიენ-ბიენ-ფუდან გათავისუფლოს საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის სერიოზულად დაჭრილები და წინადადებას აძლევდა ამ უკანასკნელს გაეგზავნა დელეგაცია დიენ-ბიენ-ფუში.

1954 წლის 13 მაისს საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის უმაღლესი სარდლობის დელეგაცია პროფესორ იუარის მეთაურობით მიიღო ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს ვიეტნამის სახალხო არმიის დივიზიის მეთაურის მოადგილე კაო ვან ხანი. საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის უმაღლესი სარდლობის დელეგაციამ წინადადებანი გადასცა ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის დელეგაციას, რომელიც დაუყოვნებლივ მიიღო ისინი. ამის შედეგად ჩამოყალიბებულ იქნა 1954 წლის 13 მაისის შეთანხმება. ეს წინადადებანი, რომლებიც შეეხებოდა სევაკუაციო დაჭრილთა რაოდენობას, სატრანსპორტო საშუალებებსა და საფრანგეთის თვითმფრინავების მოქმედების შეწყვეტას ევაკუაციის დროს, შემდეგ ინდოჩინეთში საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის უმაღლესი სარდლობის სახელით მოწონა გენერალმა კონიიმ.

1954 წლის 14 მაისსავე დაიწყო ევაკუაცია. მაგრამ 15 და 16 მაისს სანიტარული თვითმფრინავები დაჭრილების წასაყვანად არ მისულან.

16 მაისს საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის უმაღლესი სარდლობის დელეგაციამ, რომელიც მაიორების ჟინესისა და როფესაგან შედგებოდა, ახალი წინადადებანი წამოაყენა.

17 მაისს საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის უმაღლესმა სარდლობამ ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის გაუფრთხილებლად ცალმხრივად დაარღვია 13 მაისის შეთანხმება და წამოაყენა ახალი წინადადებანი. 6 საათის შემდეგ 17 მაისს ღამით და 18 მაისს დილით საფრანგეთის თვითმფრინავებმა, როგორც ამავე დღეს რადიოსადგურმა „ვიეტნამის ხმამ“ გამოაცხადა, დაბომბეს პროვინციული გზა № 41 სონ-ლას და დიენ-ბიენ-ფუს შუა და მოაკლეს 15 სამხედრო ტყვე. ეს იყო 13 მაისის შეთანხმების აღმაშფოთებელი დარღვევა. ამასთან დაკავშირებით ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესმა სარდლობამ მტკიცე პროტესტი განაცხადა. შემდეგში 13 მაისის შეთანხმების დარღვევა გამეორდა 1ᲐᲑ 41 პროვინციული გზის გაყოლებით და განსაკუთრებით 18 მაისს საღამოს 8 საათზე ხინ-ლონის მიდამოებისა და 23 მაისს ღამით და 24 მაისს დილით იმ რაიონის დაბომბვის დროს, რომელიც 5-7 კილომეტრზე მდებარეობს დიენ-ბიენ-ფუს ცენტრიდან.

ამ დარღვევათა მიუხედავად, ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობა კვლავ ახორციელებდა ჰუმანურ პოლიტიკას, იცავდა 13 მაისის შეთანხმებას და იძლეოდა ყველა საშუალებას ევაკუაციისათვის. სწორედ ამიტომ გახდა შესაძლებელი დაჭრილთა ევაკუაციის განგრძობა.

1954 წლის 22 მაისს ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესმა სარდლობამ უარყო წინადადებანი, რომლებიც 17 მაისს წამოაყენა საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის უმაღლესმა სარდლობამ. მან გადაწყვიტა, რომ დაჭრილთა ევაკუაცია მოხდებოდა 13 მაისის შეთანხმების პირობების შესაბამისად და გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა ფრანგთა თხოვნა აერთდრომის (დიენ-ბიენ-ფუში. — **რედ.**) შეკეთების შესახებ, რათა ძირდაშვება შეძლებოდათ „დაკოტას“ ტიპის თვითმფრინავებს.

1954 წლის 24 მაისს საფრანგეთის დელეგაციამ გამოაცხადა ორივე მხარის სპეციალისტთა აზრი და უარი თქვა თავის თხოვნაზე აერთდრომის შეკეთების შესახებ „დაკოტას“ ტიპის თვითმფრინავთა ძირდაშვების უზრუნველსაყოფად, რადგან გთვალისწინებული ს